ხაშურის მოამბე

№14 (45) 11 აპრილი, ორშაბათი, 2016 წელი

რიკოთის გზის ალტერნატიული გზა აშენდება

სახელმწიფო აშენებს რიკოთის გზის ალტერნატიულ გზასაც, რომელიც ხარაგაულის მიმართულებით გაივლის და ზესტაფონს დაუკავშირდება, – განაცხადა საუბარში ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველმა გიორგი სეთურიძემ. – ორივე გზის სიგრძე დაახლოებით 54 კილომეტრი იქნება. დაიწყება ჩუმათელეთიდან და დასრულდება ზესტაფონის გასასვლელში. აშენდება არსებული გვირაბის პარალელური გვირაბი. გარდა ამისა, კიდევ აშენდება 20 კილომეტრი საერთო სიგრძის სხვადასხვა გვირაბი, რომლის საშუალებით შევამოკლებთ გზას ქედების გარშემო, – აცხადებს სეთურიძე.

რაც შეეხება იმასიქნება თუ არა რიკოთის გზის ალტერნატივა ტრანსპორტისათვის ფასიანი,რომლის შესაძლებლობაზეც ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ცოტა ხნის წინათ ისაუბა,მინისტრის მრჩეველი ამბობს,რომ ჯერჯერობით ფასიანი გზის არსებობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„ჯერჯერობით არ განიხილება, დასაშვები ყველაფერია. ამ ეტაპზე ყველა მონაკვეთი, რაც შენდება, იქ ფასიანი მონაკვეთები გათვალისწინებული არ არის", - ამბობს გიორგი სეთურიძე. გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობას მსოფლიო ბანკი,მეორეს კი აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 20%-ია. პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება, 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.

განხორციელდა უკანონოდ ჩადგმული ჯიხურების დემონტაჟი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა უკანონო რკინის კონსტრუქციების დემონტაჟი განახორციელა, რითაც გათავისუფლდა სავაჭრო ობიექტებთან მისასვლელი სამანქანო და საფეხმავლო გზა. ბაზრის დირექცია მზადაა,სურვილის შემთხვევაში, ყოფილი ჯიხურების მფლობელებს გარკვეული ფართები გამოუყოს შიდა ტერიტორიაზე.

ქიმერიძეების უბანში, სურამულაზე, ახალი ხიდი გაკეთდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ხაშურში, ქიმერიძეების უბანში, ხიდის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ძველი ხიდი, ფაქტობრივად, ბურჯების გარეშე იყო დადგმული და წყლის ადიდებისას საფრთხეს წარმოადგენდა, ამიტომ ხიდს მთლიანად უტარდება რეკონსტრუქცია; მოეწყო ბურჯები, გაკეთდება მოაჯირები, განახლდება სავალი ნაწილი.

რეაბილიტირებული ხიდი ბევრად უფრო კომფორტული იქნება როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე ავტომობილების გადასაადგილებლად.

მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია დაიწყო

მიმდინარე წელს,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების რეაბილიტაცია აქვს დაგეგმილი,სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ დღეებში მინისტარის დასახლებაში ერთ-ერთი მრვალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია უკვე დასრულდა.

–სოფლის მეურნეობა–

დიდი დანაშაულია, შორიდან უყურო ამ მადლიან მიწას

სასოფლო-სამეურნეო ექსკურსი და ჩვენი „სპეციალიზება" დარგის სპეციალისტებად, გრძელდება. რედაქციის კარზე კაკუნი... ბატონი ავთანდილ გოგალაძე (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი) გაზაფხულის დაწყებას, მზიან ამინდებს გვილოცავს და ახალ მარშრუტს გვთავაზობს წარმატებული კოოპერატივის თუ ფერმერის გასაცნობად. ყოველთვის სასიამოვნო და სასიხარულოა შენი მუნიციპალიტეტის წარმატებების შესახებ წერდე-როდესაც საქმე შენებას, ახლის დაწყებას, განვითარებას ეხება, იქმნება დოვლათი და ეს მადლიანი მიწა სამადლობელს ხელისგულზე გფენს. თუმცა,ყველაფერი სიტყვასავით მარტივად არც მოდის და არც კეთდება. ყველაფერს თავისი გონებრივი და ფიზიკური რესურსი ჭირდება. წლებმა განვლო, მოსალეწი კალო გაილეწა, დიდი შრომა და დაღვრილი ოფლი გაიყოლა ისტორიამ. ახლა სხვა საუკუნის შვილებს სხვა კალო, სხვა გუთანი და სხვა მარჯვენა დასჭირდათ, სხვაგვარად მარტივი და სხვაგვარად რთული (პათეტიკამ რომ არ წაგვიღოს ქართველები, ალბათ მეტი დრო გვექნებოდა პრაქტიკული საქმიანობისა და აზროვნებისთვის). მთელი დღე აქ ვტრიალებო-ამჯერად ნერგების სათბურის წინ ვიდექი და სატივეში მცხოვრებ ფერმერ ალექსი მეტივიშვილს ვესაუბრებოდი-დაიწყო გაზაფხული და სულ ფუსფუსი უწევს, დაგეგმვა, განხორციელება. სხვა საოჯახო ბიზნესიც აქვს, მაგრამ მიწას დაუბრუნდა, სხვებისაც იყიდა, ყიდულობს და მომავალს აშენებს. სათბურში პომიდვრის, წიწაკის თანამედროვე ჯიშების ნერგები იზრდება და ელოდება მზის სინათლეს. ქართლისთვის არადამახასიათებელი საზამთროს და ნესვის ღია გრუნტში გადასატანად გამზადებული ნერგებიც ვნახეთ-კახელებიც კი გაუოცებია თავისი სიტკბოთი და სიდიდით. ადამიანი ვიპოვოთ ჩვენს გულებში და სა-

მოთხე დედამიწაზე ნაპოვნი გვაქვს ქართველებს!

ალექსი მეტივიშვილი (ფერმერი):

–4 წელია სოფლის მეურნებით სერიოზულად დავკავდით. თავიდან 1 ჰა მიწის ნაკვეთი გვქონდა,

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

–სოფლის მეურნეობა– დიდი დანაშაულია შორიდან უყურო ამ მადლიან მიწას

სიმინდის ნათესით დავიწყეთ მე და მამაჩემმა. დღეისათვის 100 ჰა მიწა გვაქვს, ძირითადად ოსიაურის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სხვა დამატებითი საქმე და შემოსავალიც აქვს ოჯახს, გადავწყვიტეთ, სოფლის მეურნეობაშიც გვეცადა ბედი, რადგან საქართველო აგრარული ქვეყანაა და დღემდე წამყვან დარგად ითვლება. თან ბაზარზეც გაჩნდა მოთხოვნილება ქართულ, ნატურალურ პროდუქტზე.

–თავდაპირველად რომელი კულტურით დაიწყეთ?

–თავიდან 1 ჰა-ზე სიმინდი დავთესეთ, ძალების მოსასინჯად. შემდეგ 30 ჰა მიწა ვიყიდეთ ისევ სიმინდის დასათესად. თანდათანობით, ყოველწლიურად ვამატებდით და ვყიდულობდით მიწებს. როდესაც 100 ჰა-მდე ავედით, უკვე ბოსტნეულზე და მარცვლოვანი კულტურების თესვაზეც გადავედით. თავდაპირველად, შემოსავალზე ორიენტირებულები არ ვყოფილვართ, მიწებისა და ტექნიკის შესყიდვით ვიყავით დაკავებულები.

–ამჟამად რა კულტურები მოგყავთ?

–ძირითადად, ჩვენი ნიადაგისთვის, ჰავისთვის დამახასიათებელი კულტურები მოგვყავს, თანამედროვე ტექნოლოგიებით და ხარისხთან ერთად, რაოდენობაზე ვართ ორიენტირებული. ხორბალი



გვითესია 20 ჰა, კარტოფილი – 8 ჰა, 7 ჰა-ზე გვაქვს ხახვი, ლობიო – 10 ჰა, სიმინდი 40-45 ჰა-მდე და პომიდორი, რომლის მოყვანაც საკმაოდ რთულია და შრომატევადი. შარშან 1 ჰა-ზე დაახლოებით 10-12 ტონა სიმინდი მივიღეთ. წელს უკეთესს მოსავალს ველოდებით რაოდენობრივად.

–ეს გამოყვანილი, ჰიბრიდული ჯიშებია, ქართული ჯიშის თუ გაქვთ რაიმე სახეობა?

–ძველი ქართული ჯიშები არ გვაქვს, რადგან მოსავლიანობაზე და რაოდენობაზე ვართ ორიენტირებულები.

–ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

–ადრე გაზაფხულიდან შევუდექით საქმიანობას. კარტოფილი და ხახვი ერთი თვის წინ დავთესეთ. პომიდვრის და წიწაკის ჩითილი გამოგვყავს სათბურში, ამოდის უკვე. მიწას ვამუშავებთ სიმინდის დასათესად.

–სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამებით თუ სარგებლობთ?

–მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დიდ მხარდაჭერას უცხადებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობას, კოოპერატივებს, ფერმერებს, აქამდე ჩვენ ასეთი მხარდაჭერით არ გვისარგებლია. ცოტა ხნის წინ მივიღე მონაწილეობა პროექტში "დანერგე მომავალი", ვაშლის ინტენსიური ბაღის გაშენებას ვაპირებ. გარდა ამისა, მაცივრის გაკეთება მინდა სახელმწიფო პროგრამით, რომელიც 50%-იან თანადაფინანსებას გულისხმობს. შესაძლებლობა მექნება შევინახო მოსავალი, ან როდესაც ბაზარი გადატვირთული იქნება, რამდენიმე ხნით გავაჩერო პომიდორი და შემდეგ გავიტანო. ვაშლს უფრო მეტად სჭირდება დასაწყობება. არ შეიძლება არ აღვნიშნო სოფლის მეურნეობის ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტების თანადგომა, რომლებიც მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს, რომ ჩვენ რაიონში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად იქცეს, გლეხს შეეძლოს საკუთარი მიწით ოჯახის რჩენა.

–გასალების ბაზარი სად გაქვთ?

–ფიზიკურად რთულია ასეთი რაოდენობის მოსავლის გაყიდვა მხოლოდ ადგილობრივ, ხაშურის ბაზარზე. მოდიან საქართველოს ყველა კუთხიდან და ყიდულობენ. დღემდე რეალიზების პრობლემა არ შეგვქმნია. პირიქით, ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება ქართულ პროდუქტზე მოთხოვნა.

–სოფლის მეურნეობა არის ის სფერო, საიდანაც ადამიანს შეუძლია ოჯახის უზრუნველყოფა?

–მე როცა დავიწყე მიწების ყიდვა და სიმინდის თესვა, ის ადამიანები, რომლებიც მანამდე მიწას არათუ ამუშავებდნენ,არამედ ყიდდნენ,რომ დაინახეს, სიმინდის კარგი მოსავალი მივიღე, დაინტერესდნენ და თვითონაც დაიწყეს თესვა, შემდეგ პომიდვრის და სხვა კულტურებისაც. ანუ, ერთგვარი სტიმული მიეცათ და დაიწყეს მიწების დამუშავება. ამით იმის თქმა მინდა,რომ შრომაა საჭირო,სწორად დაგეგმვა და შედეგს აუცილებლად მიიღებ მატერიალურს. ჩემი ოჯახის დამატებითი შემოსავალიც დღემდე მიწების შესყიდვას ხმარდება, რომ უფრო გავიზარდოთ და გავფართოვდეთ. სტიმულს სახელმწიფოს ხელშეწყობა და ბაზრის მოთხოვნილება გვაძლევს.

–ტექნიკური ბაზა რაგორი გაქვთ, თანამედროვე ტრაქტორები თუ გყავთ?

–ორი ტრაქტორი გვყავს, თავისი მისაბმელებით. ერთი – ახალი და ერთი – ძველი, ერთი წლის წინ შევიძინე. თუ გაიზრდება მიწის ფართობი, ტექნიკის რაოდენობასაც გავზრდით შესაბამისად. ამ ეტაპზე ეს რაოდენობა გვაკმაყოფილებს.

– რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

–სეზონურად ვასაქმებთ მუშა-ხელს. პომიდვრის გადარგვიდან 10-20 კაცს ყოველდღიურად ვამუშავებთ. არის ისეთი სეზონი, როცა მეტი მუშა-ხელის დახმარება გვჭირდება, კარტოფილის, პომიდვრის, წიწაკის კრეფის, ან ხახვის ამოღების დროს, ზოგჯერ 50 ადამიანს ვასაქმებთ. წელს გავაორმაგეთ რაოდენობა ყველაფრის და მეტი ადამიანის დახმარება დაგვჭირდება.

–მიწის მოვლა-დამუშავება, თესლი, სასუქები და მოვლის სხვა საშუალებები, საკმაოდ ძვირია. თვითთღირებულება ხომ არ აღემატება შემოსავალს?

–საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაგალითად,1000 ცალი პომიდვრის თესლის ღირებულება 42 ლარია. გარდა ამისა,დასაწვიმი და წვეთოვანი სისტემები, შეწამვლა, სასუქები და სხვა საჭიროებები,მაგრამ როცა დიდ ფართობზე გაქვს,შემოსავალს მეტს ტოვებს. თან მიწასთან შეხება ერთგვარი სიამოვნებაა, ამით სარგებელს მხოლდ შენ არ ნახულობ. დოვლათი მუშა-ხელით იქმნება-გასავალ-შემოსავლის ბალანსით. ის, რაც შენთვის გასავალია, ვიღაცის შემოსავალს წარმოადგენს, კანონზომიერებაა ერთგვარი. როცა გაქვს შესაძლებლობა, უნდა ადგე და გაისარჯო. შორიდან უყურო ამ მადლიან მიწას, დიდი დანაშაულია ქართველისთვის.

მიხარია, როცა იმედიანი დღე თენდება, როცა იცი, რომ კარგი დასაწყისი ოპტიმიზმს იძლევა, როცა მკლავმაგარ, წელში გამართულ, ქართველს ხედავ, რომელიც ცას

გლობალიზაცია - ერებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ დაგეგმილი პროტესტი

გლობალიზაცია ერებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ დაგეგმილი პროტესტია. იგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ერების ერთიან სივრცეში ინფორმაციული, სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრირების პროცესს, როდესაც მიუხედავად აქვს ვინმეს ამის სურვილი თუ არა, მაინც მოუწევს ამ პროცესის დროს ჩააბაროს გამოცდა თავისი ეთნო-კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. ის ვინც ვერ ჩააბარებს ამ გამოცდას დაკარგავს თვითმყოფადობას და აღიგვება პირისაგან მიწისა, ვინც გაიმარჯვებს გადარჩება.

ვინ არიან ამ გეგმის შემქმნელები და განმახორციელებლები? სოფლიოს უძლიერესი ფინანსური ჯგუფები, რომლებიც თავდაპირველად შეიქმნა ამერიკაში. ამ ფინანსურ ჯგუფებში ერთიანდებიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფინანსური ჯგუფები, რომლებსაც არ აინტერესებთ ეროვნება, არ აწუხებთ ეროვული გრძნობები. მათი მიზანია ფინანსური სიმდიდრე. ფინანსები, რომლებიც დღეს ყველაზე მძლავრი იარაღია და ნებისმიერი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება არის შესაძლებელი. დემოკრატია კი ის ფორმაა, სადაც ფინანსური წრეები უფრო ადვილად ახორციელებენ თავიანთ მიზნებსა და ამოცანებს.

შესაძლებელია ოცდამეერთე საუკუნე დიდი ტრაგედიების საუკუნედ იქცეს და არა ერთი თვითმყოფადი ერის გადაშენების ეპოქად იქცეს.

ამ კრიტიკულ პერიოდში ჩვენი უპირველესი ამოცანაა შევძლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, თუ ეს ვერ შევძელით არ იქნება არც ეროვნული საზოგადოება და ცნება სახელწოდება „საქართველო" აზრს დაკარგავს, ჩვენი სულიერი ღირებულებების მთელი სისტემა გაქრება ასპარეზიდან.

ამ ტრაგიკული საუკუნის გასაყარზე ჩვენი თვითშეგნება და მისი წინ წამოწევა ისეთი აქტუალური საკითხია როგორც არასდროს. რომლის გა

(დასასრული V გვერდზე)

-სკოლამდელი დაწესებულებები-

დავით ნოზაძე: ახალმა სისტემამ აშკარად გაამართლა

ადამიანებს, ძალიან გვიჭირს სიახლეებთან შეგუება, მითუმეტეს, როდესაც სიახლე სახელმწიფოებრივია და რეფორმის სახელი ჰქვია. თუ ჩიხელების წყვეტასაც მოვიშველიებთ("რეფორმების ხანაში გეცხოვროს"), ჩვენი შიში, არც ისე უსაფუძვლოდ გამოიყურება. ახლის დასაწყისს ყოველთვის თავისი ნაკლოვანებები და უპირატესობები აქვს, რაც შეგუებადობას, მისაღებობას-გათავისებას გულისხმობს. განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც საუკეთესოს ძიების პროცესში არიან, უფრო ხანგრძლივ და მოსახლეობისთვის მტკივნეულ პროცესად რჩება-საამსახურის დაკარგვის შიში, დაუცველობა და ათასი პრობლემა, რომელიც მიმდინარე რეფორმის პირისპირ მდგარ ადამიანს ეუფლება. თუმცა, ყველაფერი ხომ იდეური ვარიანტის ძიებისკენ, უკეთესი მომავლის შექმნისთვის კეთდება. მსგავსი შემთხვევა (არა მასშტაბური) რამდენიმე თვის წინ ჩვენს მუნიციპალიტეტსაც ახლოვს, როდესაც ს(ს)იპ ბაღების გართიანება შეიქმნა, თანამშრომლებს ერთგვარი შიში დაეუფლათ საამსახურებიდან გათავისუფლების. ახალი საამსახურის შექმნა, მასი მოვალეობის ჩანაცვლებას ავტომატურად გულისხმობდა, თუმცა, საამსახურიდან არავინ გაუთავისუფლებია. ბაღების გაერთიანების თუნქცია, ბაღების მართვა, კონტროლი, ფინანსური და სხვა ტიპის ვალდებულებისგან ბაღების გათავისუფლება წარმოადგენს, რომელიც ერთგვარ კომფორტს ქმნის, მენეჯერი და ბაღის ადმინისტრატორი, მაქსიმალურად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში და შინაგანი რესურსი მომავალი თაობის ფიზიკური და გონებრივი აღზრდისკენ მიმართონ. მიუხედავად იმისა, რომ საამსახური ამი თვეა შეუდგა თავისი უფლება-მოვალეობის განხორციელებას, გარკვეული შედეგი უკვე ნაჩვენებია, იყო საკადრო ცვლილება და დავაც, რომელზეც ბაღების გაერთიანების დირექტორი **დავით ნოზაძე** გვესაუბრება:

–გასული წლის დეკემბრიდან ოფიციალურად დავიწყეთ მუშაობა, მანამდე იყო მოსამზადებელი პერიოდი. ხაშურის მუნიციპალიტეტში დღევანდელი მონაცემებით სულ 13 ბაღია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 530 120 ლარია გამოყოფილი, რომელიც მხოლოდ შესყიდვებისთვის განისაზღვრება, მისი განკარგვა ჩვენი სამსახურის მიერ ხდება, რაც ბაღის მენეჯერებს აცილებს ფინანსურ პასუხისმგებლობებს. გარდა შესყიდვებისა, მიმდინარეობს რამდენიმე ბაღის რემონტი და რეაბილიტაცია, ხოლო ორი ბაღი, ქვიშხეთის და მინისტარის, თავიდან აშენდება. ქვიშხეთში უკვე დაწყებულია მშენებლობა, სადაც დაახლოებით 60 ბავშვი იქნება. რემონტშია ჩასმული V,VII და სურამის ბაღები. გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია, ეტაპობრივად ყველაფრის მოგვარებას შევძლებთ.

-საამთვიანი მუშაობის პერიოდმა რა უპირატესობები ან ნაკლოვანებები აჩვენა?

–პირველ რიგში, როდესაც შეიქმნა გაერთიანება, მუშაობის დასაწყისშივე, გაიზარდა კვების ღირებულება ბავშვებზე, რომელმაც თვეში 20 ლარი შეადგინა. ძირითადად, შიდა სტრუქტურული საქმიანობით ვიყავი აქამდე დაკავებული. ახლა უკვე დავდივარ ბაღებში, ვხვდები მშობლებს, ვესაუბრები, ვიწერ შენიშვნებს, მენეჯერებთან ერთად ვსაუბრობთ პრობლემებზე და ვცდილობთ მის გადაჭრას. ეს ერთგვარი კომფორტია ბაღებისთვის, რადგან თავიდან აიცილეს სხვადახვა სახის ვალდებულებები.

-საკვების ან ჰიგიენური ნორმების კონტროლი თუ ხორციელდება და რომელი საამსახურია პასუხისმგებელი?

–კონტროლი ამ ეტაპზე ჩვენს მიერ ხორციელდება, ვაპირებთ ერთი კადრის დამატებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აკონტროლოს ჰიგიენური თუ სხვა ნორმები რამდენად იქნება დაცული. გუშინ რამდენიმე ბაღში სურსათის უვნებლობის სამსახური იყო შესული და კმაყოფილი დარჩა არსებული მდგომარეობით. საკვების მხრივ ყველაფერი კონტროლდება, ვადიანია. მენეჯერებს დაურიგდათ ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია მომწოდებლებთან, დაევალათ მათი კონტროლი. მიმწოდებელი ვალდებულია თვითონ მიაწოდოს პროდუქტი ბაღებს.

-ბაღების ბუღალტერებს, რომლის ფუნქციასაც ამჟამად თქვენი საამსახური ითავსებს, რა ბედი ენიათ?

–თავიდანვე, როდესაც ჩვენი სამსახური შეიქმნა, არ იგეგმებოდა ვინმეს გათავისუფლება. ყველა დარჩა სამსახურში საქმის მწარმოებლებად, შეეცვალათ სტატუსი, საქმის რაოდენობა, რამაც ხელფასებზეც იქონია გავლენა. მაგრამ ამან ის მოგვცა, რომ შეუნარჩუნდათ სამსახური.

-რამდენადაც ვიცი, საამსახურიდან გათავისუფლეთ VIII ბაღის მენეჯერი, რომელმაც გასაჩივრა და მისი გათავისუფლება პოლიტიკურ გადანყვეტილებას დაუკავშირა. რა ნიშნით მოხდა გათავისუფლება?

–სასამართლო პროცესი ახლაც მიმდინარეობს. არავითარი პოლიტიკური მიზეზი ამაში არ ყოფილა, რადგან მე თვითო არც ერთ პოლიტიკურ ძალას ან პარტიას არ ვეკუთვნი, ჩემი ხედვები და მიმართულებები მაქვს, რომლის მიხედვითაც ვახორციელებ ჩემს პროფესიულ საქმიანობას. VIII ბაღის მენეჯერს ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და მე, როგორც დამსაქმებელმა აღარ ჩავთვალე საჭიროდ გამეგრძელებინა. დავიბარე, მადლობა გადავუხადე მრავალწლიანი მუშაობისათვის და მოვუბოდიშე.

-უახლოეს მომავალში რა სიახლეს უნდა ველოდოთ ბაღების გაერთიანებისგან? როგორ ფიქრობთ, გასამართლა საამსახურის მუშაობამ?

–ბაღების გაერთიანების შექმნა ნამდვილად გამართლებულია, რაც ჩვენი სამთვიანი მუშაობის მანძილზეც გამოჩნდა. სისტემა ახალია, შესაბამისად, ჩვენს სწავლების პროცესში ვართ, თუმცა დიდი იმედი გვაქვს, რომ შედეგს ძალიან მალე დავდებთ. I ბაღის საზეიმო კონცერტს დავესწარით, ბავშვებს სერტიფიკატები გადავეცით. ზაფხულის პერიოდში გვინდა, პლასტმასის სკამები ამოვცვალოთ. სხვადასხვა ღონისძიებებს, ეტაპობრივად განვახორციელებთ. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ბაღებისთვის იმ პასუხისმგებლობის აცილებაა, რომელიც მათთვის დამატებით საზრუნავს წარმოადგენდა. ისინი მთლიანად ჩართულნი და ორიენტირებულები არიან ბავშვებზე და სასწავლო პროცესზე, რაც ერგვარად გაერთიანების სამსახურის ეტაპობრივად გამართულ მუშაობაზე მეტყველებს.

თ. ჯავახიშვილი

- კარგი საქმე -

„შენც ადექი და ხე დარგე"

შიდა ქართლის სატყეო სამსახურის და ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ერთობლივი ინიციატივით სურამის სადგურის მიმდებარე სკვერში და სურამის საბავშვო ბაღში სამასამდე წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის ხეები დაირგო. გამწვანების აქციაში მონაწილეობა მიიღეს სურამის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და ახალგაზრდული საკრებულოს წარმომადგენლებმა.

შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსი გიორგი ნიკოლეიშვილი:

–ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში, თითქმის, ორ მილიონამდე ჰექტარი ფართობია, შესაბამისად, ჩვენი ძირითადი მოვალეობა ტყეების მოვლა–აღდგენაა. დღევანდელი აქცია ამ მიზნისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. დღეს დავრგეთ სამასამდე ჯიშის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე: იფანი, ცაცხვი, მუხა კაკალი და ა.შ. ეს აქცია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, რადგანაც ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ტყეების გაშენება და სკვერების კეთილმოწყობაა.

აქცია ნამდვილად მისასალმებელია და მისი ძირითადი მიზანი გარემოზე ზრუნვა და მოსახლეობისათვის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა გაითავისოს თავისი წილი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი სავალალო მდგომარეობაა ეკოლოგიური თვალსაზრისით, როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში, შესაბამისად, უნდა შევეცადოთ გავისიგრძეგანოთ არსებული საფრთხეები და გარემოს დაცვას სათანადო ადგილი დავუთმოთ. ფლორა ხომ ეკოსისტემის უმნიშვნელოვანეს ღერძს წარმოადგენს და თვალსაჩინო როლს თამაშობს ეკოლოგიური წონასწორობის თვალსაზრისით.

კეთილშობილური საქმე ხშირად გვაერთიანებს ხოლმე. და ამ დღემაც გააერთიანა დიდიც და პატარაც. ბავშვები ჩვეული ჟრიამულით რგავდნენ ხეებს. ზუსტად მათი ტოლი ვიყავი, როდესაც სკოლაში მორის ფოცხიშვილის ლექსი ვისწავლე „ხე დარგე". მას შემდეგ კი ხის დარგვასთან დაკავშირებით სულ ეს პაწაწინა ლადი ლექსი მახსენდება ხოლმე:

ქართველი თუ ხარ, სამშობლოს
მზის სხივად გადაექარგე,-
ქორწინების წინ ხე დარგე,
შვილი გეყოლა, ხე დარგე!
ხე დარგე, როცა
მოიწყენ,
როცა მოილხენ, ხე
დარგე,-
ლელოს გაიტან, ხე
დარგე,
კარგ ლექსს რომ
დასწერ, ხე დარგე!
თუ ვერ დასწერე,
რა უშავს,
ნურც რას იდარდებ,
მეტადრე,
ხის დარგვა ხომ
შეგიძლია,
შენც ადექი და ხე
დარგე!

ერთი ცაცხვი
დავრგეთ აქციაზე - პირველად. ორი ხის ნერგი კი დავიმახსოვრე საჩუქრად. ცაცხვი მინდოდა, მაგრამ იფანი შემხვდა. მაინც კმაყოფილი ვიყავი. მივედი თუ არა სახლში ,მაშინათვე დავრგე. ყოველ საღამოს წყალს ვუსხამ და მოუთმენლად ველოდები როდის გაიკვირტება.

თ. ახალკაცი

წარსულის საზარელი ისტორიები

რა საშინელი აღმოჩენა გააკეთა ხაშურის სავაგონო დეპოს მუშამ წიფის გვირაბში

ხაშურის დეპოს მუშა, 49 წლის ვალერი გულიევი წიფის გვირაბში იყო შესული და გეგმიურ დათვალიერებას ახორციელებდა. უცებ ის შეჩერდა, მსუბუქი ურიკა ლიანდაგებიდან გვერდზე გადააყენა, რადგან მოსკოვი-ერევნის შემადგენლობის ჩამოვლის დრო იყო. ჩქარი მატარებელი გვირაბში გუგუნით შეიჭრა და კედელზე აკრული გულიევის წინ ჩაიქროლა, მაგრამ შემადგენლობა ჯერ კიდევ მიჰქროდა, როდესაც გულიევს რაღაც მძიმე საგანი მოხვდა კეფაში და გონებამიხდილი დაეცა ლიანდაგების გვერდით. რამდენიმე ხნის შემდეგ ვალერი გულიევი გამოაფხიზლა ვირთხების წრიპინმა, რომლებიც ათეულობით შეკრებილიყვნენ მის ირგვლივ. მუშა წამოჯდა, ნავთით სავსე შუშის ქილა ამოიღო ჩანთიდან, ვირთხების მიმართულებით ისროლა და ანთებული ასანთიც მიაყოლა. მხოლოდ აგიზგიზებულმა ცეცხლმა დააფრთხო გვირაბის ბინადარნი. ის იყო, გულიევმა გზის გაგრძელება დააპირა, რომ იქვე დაგდებული მოზრდილი ტომარა შენიშნა. მან ჯერ ურიკა შედგა რელსებზე, შემდეგ ტომარა ურიკაზე დადო და გვირაბიდან ხაშურის მიმართულებით დაიძრა. თხუთმეტიოდე წუთში, გვირაბიდან გამოსული ვალერი გულიევი ლიანდაგის პირას იდგა და ტომარას ხსნიდა. მან ჯერ კაპრონის თოკი გახსნა და იქვე დააგდო, შემდეგ ორმაგი, უხეში ტილო გადასწია და გაქვავდა. ტომრიდან მას ენაგადმოგდებული, მოკვეთილი თავი მისჩერებოდა. გულიევს ჯერ გული აერია, მერე კი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ნახევარი საათის შემდეგ კი ტომრის გახსნის ადგილას, წიფის გვირაბიდან 150 მეტრის დაშორებით, ქალაქ ხაშურის მილიციისა და პროკურატურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ და ტომარას ათვალიერებდნენ, სადაც მამაკაცის დანაწევრებული ცხედარი იყო მოთავსებული, რომელსაც ბარძაყები აკლდა. ტომარა, თავისი შიგთავსით, ხაშურის პროზექტურაში გადაიტანეს ექსპერტიზისთვის, ხოლო ქალაქის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განზრახ მკვლელობის მუხლით და დაიწყო გამოძიება, რომელსაც ჯერ ანზორ ხიდაშელი უძღვებოდა, სამი დღის მერე კი ეს საქმე თბილისმა წაიღო და მის გამოძიებას სათავეში, ჩაუდგა ნოდარ მახარაძე, რომელიც მსგავსი საქმეების სპეციალისტად ითვლებოდა.

სისხლიანი კვამლი

ვალერი გულიევის დაკითხვამ და პირველადი მოკვლევების მასალებმა ნოდარ მახარაძე იმაში დაარწმუნა, რომ უცნობი მამაკაცის მკვლელობა მოსკოვი-ერევნის სამგზავრო მატარებელში იქნა ჩადენილი. მიუხედავად იმისა, რომ მოკლულის სხეული დანაწევრებული და შიშველი იყო და პირადობის ვერანაირი დამადასტურებელი საბუთი ვერ აღმოაჩინეს,მოკლულის ვინაობის დადგენა მაინც მოხერხდა: ეს იყო მოსკოველი ინჟინერი, 36 წლის კირილ დემიდოვი, რომელიც თბილისში მიემგზავრებოდა სამსახურებრივ მივლინებაში. დემიდოვი მისმა ახლობლებმა ამოიცნეს და, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ, მისი ცხედრის ნარჩენები მოსკოვში წაიღეს და დაასაფლავეს. მოკლულს მეოთხე ჯგუფის, რეზუს-უარყოფითი სისხლი აღმოაჩნდა და, როგორც ანალიზმა ცხადყო, ვენერიული დაავადება – ჰონორეა სჭირდა. მაგრამ მახარაძეს ყველაზე მეტად გამქრალი ბარძაყები ადარდებდა – იგი ფიქრობდა, რომ ამ საქმეს სერიული მკვლელობის ელფერი დაჰკრავდა. მან თავისი ეჭვები გენერალურ პროკურორს გაანდო და დაითანხმა, რომ მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები გამოეყოთ, რაც დაუყოვნებლივ განხორციელდა.

ნოდარ მახარაძის ჯგუფმა მკვლელობიდან ერთი კვირის თავზე მოსკოვი-ერევნის ის შემადგენლობა შეამოწმა, რომელშიც მკვლელობა იქნა ჩადენილი და მეოერთმეტე ვაგონის გამცილებლის კუპეში, საწოლში გაუთნილი სისხლის ლაქები აღმოაჩინა. ჩატარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ ლაქად დარჩენილი სისხლი დანაწევრებულ კირილ დემიდოვს ეკუთვნოდა. გამოცდილმა გამომძიებელმა ისიც დაადგინა, რომ მეთერთმეტე ვაგონის გამცილებლები იყვნენ მოსკოველები – პაველ უშკოვი და სტეპან დუდკო. თუმცა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში დუდკო ავადმყოფობდა და მოსკოვი-ერევნის რეისებში მხოლოდ პაველ უშკოვი დადიოდა. ამიტომ, ქართველმა ძალოვნებმა ოპერატიული ჯგუფი შეადგინეს და მოსკოვში გამცილებელ უშკოვის დასაკავებლად გაემგზავრნენ.

გაუჩინარებული გამცილებელი

პაველ უშკოვის დასაკავებლად მისულმა ოპერჯგუფმა მეზობლებისგან შეიტყო, რომ გამცილებელი უკვე ერთი კვირაა, არ ჩანდა. ხოლო მისმა კარის მეზობელმა, ხანში შესულმა ქალმა მახარაძეს უთხრა:

– ვფიქრობ, რომ პავლუშას რაღაც შეემთხვა. წესით, ის ახლა სახლში უნდა იყოს, რადგან ერთი კვირა მუშაობს, ერთი კვირა კი ისვენებს და ახლა სწორედ დასვენების კვირა აქვს. ეჰ, შვილო, – თავი გააქნია ქალმა და თვალცრემლიანმა განაგრძო: – პავლუშა სანიმუშო ბიჭი იყო. მასზე აუგს ვერავინ იტყოდა, მაგრამ ყველაფერი ამ ექვსი თვის წინ დაიწყო, მას მერე, რაც იმ საზიზღარ და საზარელ ქალს გადაეყარა.

– ვის გულისხმობთ, ქალბატონო, იქნებ დააკონკრეტოთ? ჩვენ სწორედ თქვენი მეზობლის დასაკითხავად ვართ აქ მოსული და, გამორიცხული არაა, რომ ის სერიოზულ დანაშაულშიც კი იყოს გარეული, – უთხრა ქალს მახარაძემ.

როგორც გამცილებლის მეზობელი ქალის მონათხრობიდან გაირკვა,მისი მეზობელი, 26 წლის ობოლი და მარტოხელა პაველ უშკოვი, ექვსი თვის წინ ვინმე კარინას გადაჰკიდებია,რომელიც ერევანში გაუცნია ერთ-ერთი რეისის დროს. ქალის თქმით,კარინა პაველზე ბევრად უფროსი იყო და პერიოდულად მის ბინაშიც ცხოვრობდა. მოხუცის თქმით, კარინა ნამდვილი ურჩხული იყო და ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა შეეძლო.

– ის საზიზღარი ისე მოკლავს ადამიანს, რომ თვალს არ დაახამხამებს, – თქვა უშკოვის მეზობელმა ქალმა, – ეჰ, საცოდავი პავლუშა, რა ბიჭი იყო, რა ბიჭი?!

– ქალბატონო, – უთხრა მახარაძემ ქალს, – ან პაველს, ან, მით უმეტეს, იმ კარინას, თქვენთვის ან,თუნდაც,სხვა მეზობლებისთვის რამე შეურაცხყოფა ხომ არ მოუყენებიათ?

– არა, – თავი გააქნია ქალმა, – ასეთი რამ არ მომხდარა.

– მაშ, რატომ გაქვთ იმ ქალზე ასეთი ცუდი წარმოდგენა, ან თქვენი მეზობელი რას გიშავებთ?

– პავლუშა? პავლუშა არაფერსაც არ მიშავებს,უბრალოდ,ის ძალიან გულჩათხრობილი გახდა და,აშკარაა,რომ უარესობისკენ შეიცვალა. რაც შეეხება იმ საზარელ ქალს, მერწმუნეთ, რომ ასეთი თვალებდასისხლიანებული ქალი ნამდვილი ბოროტი სულია და მის ძარღვებში ბინძური, უწმინდური სისხლი ჩქეფს. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ.

ქართველი ოპერმუშაკები ხელცარიელები გამობრუნდნენ უკან, პაველ უშკოვის ძებნამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ახალგაზრდა გამცილებელი არც თავისი ცვლის დროს გამოჩნდა და მილიციამ მას, უკვე როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულს, ისე დაუწყო ძებნა

წითელთვალება კარინა

მოსკოვის მილიცია უშედეგოდ ეძებდა 26 წლის პაველ უშკოვს. დროს არც ნოდარ მახარაძის საგამოძიებო ჯგუფი კარგავდა და უშკოვის მეზობლის, 61 წლის პელაგია პროხოროვას აღწერილობის მიხედვით შედგენილი ფოტორობოტის მეშვეობით, წითელთვალება კარინას ძებნას განაგრძობდა. მახარაძემ კარინას ფოტოროობოტის ნიმუშები თავის სომეხ კოლეგებს გადაუგზავნა ერევანში და ექვსი დღის შემდეგ დადებითი პასუხიც მიიღო. მსგავსი გარეგნობის ქალი, 41 წლის ჟანა პოღოსიანი, ერევანში ცხოვრობდა და ერთ-ერთ სალონში მუშაობდა პარიკმახერად. იგი ქვრივი, უშვილო ქალი იყო და მარტოდმარტო ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში. სომეხი მილიციელების ინფორმაციით, პოღოსიანი არაფერ ცუდში არ ყოფილა შემჩნეული. ქმარი ექვსი წლის წინ გარდაცვლია და მას მერე ჟანა მარტო დარჩენილა. ნოდარ მახარაძის დაჟინებული მოთხოვნით, 61 წლის პელაგია პროხოროვა ერევანში ჩაიყვანეს და ჟანა პოღოსიანი ფარულად ანახვეს:

– აი, ეს საზიზღარი კარინა; სწორედ ესაა პავლუშასთან რომ მოდიოდა ხოლმე! ნუთუ ვერ ხედებით, რომ ბოროტების განსახიერებაა? შეჰყვირა პროხოროვამ.

– დეიდა პელაგია, ნამდვილად ის ქალია, არ გეშლებათ? – ჰკითხა ნოდარმა. თუმცა, წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ უშკოვის მეზობელ ქალს არაფერი ეშლებოდა.

– არა, შვილო, ნამდვილად ისაა, არ მეშლება, – დაადასტურა პროხოროვამ, – განა სკლეროზიანის ან შეშლილის მეტყობა რამე?

პელაგია პროხოროვას მადლობა გადაუხადეს და მოსკოვში გადაფრინეს, ჟანა პოღოსიანზე კი თვალთვალი დააწესეს. რადგან მის წინააღმდეგ არანაირი მამხილებელი საბუთი არ გააჩნდათ, ვერ დააკავებდნენ.

კაციჭამიას მონათხრობი

ჟანა პოღოსიანზე თვალთვალი ერთი კვირის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა. ბოლოს, ერევნელმა ოპერებმა მის ბინაში უკანონოდ, ჩუმად შეღწევა გადაწყვიტეს იმ მიზნით, რომ რამე სამხილი აღმოეჩინათ და არც შემცდარან. ჟანა ძველებურ ეზოში ცხოვრობდა და ბინიდან პირდაპირ სარდაფში ჰქონდა ჩასასვლელი. სწორედ სარდაფში აღმოაჩინეს უზარმაზარი მაცივარი, რომელშიც ადამიანის სხეულის ნაწილები იყო შენახული. ჟანა პოღოსიანი იმავე სადამოს აიყვანეს, ერევნის მილიციის სამმართველოში გადაიყვანეს და ის მაიორმა არტემ ბაბაიანმა და ნოდარ მახარაძემ ერთად დაკითხეს. წითელთვალება ქალმა ზიზღნარევი მზერა ესროლა მის წინ მსხდომ ძალოვნებს, რომელთაც თავისი საშინელი ისტორია უამბო: „13 წლის ვიყავი, როდესაც მამინაცვალმა გამაუპატიურა. მაშინ სოფელში ვცხოვრობდით. ეს ყველაფერი მან დედაჩემის თვალწინ გააკეთა. მე ვტიროდი, ვიტანჯებოდი, მაგრამ დედა არც კი მომფერებია. ისინი დამემუქრნენ, რომ, თუ მომხდარის შესახებ ვინმეს გავუმხელდი, ცოცხლად შემჭამდნენ. რა უნდა მექნა ბავშვს? ორ ურჩხულს როგორ მოვერეოდი, გავჩუმდი და ეს ყველაფერი გულში ჩავიმარხე. 17 წლის რომ გავხდი, ძალა და გონება მომეცა. ერთ მშვენიერ დღეს მიძინებულმა ბოღმამ იფეთქა. ჩემი მამინაცვალი და დედა მძინარეები დავხოცე და ნაჯახით დავჩეხე. მათი გვამებიდან კი ხორცის თითო ნაჭერი ავათალე, შევწვი და შევჭამე. განა იმიტომ, რომ მინდოდა, უბრალოდ, მათი მუქარა გამახსენდა, რომ შემჭამდნენ და პირიქით კი მოხდა. ექვსი წელი მშვიდად ვიყავი, თუმცა, 23 წლის ასაკიდან, განსაკუთრებით ახალ მთვარეზე, ადამიანის ხორცის ჭამა და სისხლის სმა მინდებოდა ხოლმე. ეს ისეთი საშინელი ლტოლვა იყო, რომ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი, წინასწარ შერჩეულ ადამიანებს სახლში ვიტყუებდი, ვკლავდი და ვჭამდი. ხოლო,როცა გავთხოვდი,ჩემი ქმარიც ჩავრთე ამ საქმიანობაში “

ჟანა პოღოსიანმა 21 ადამიანის მკვლელობისა და კანიბალიზმის ფაქტი აღიარა. მისივე მოკლული აღმოჩნდა 26 წლის გამცილებელი პაველ უშკოვიც. ერევნელი კაციჭამია ქალის სასამართლო არ შემდგარა, რადგან ჟანა პოღოსიანი მოსკოვში, სერბსკის ფსიქიატრიული კლინიკის გასაიდუმლოებულ სტაციონარში გამოამწყვდიეს გამოკვლევების ჩასატარებლად.

P.S. საინტერესო ფაქტია, რომ ცნობილი საბჭოთა სერიული მკვლელი, ეგრეთ წოდებული „ღამის მოჩვენება“, იუსუფ რახმანოვი, რომელიც 15 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებს,ჟანა პოღოსიანის შვილი იყო.

იუსუფ რახმანოვი უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, უდედმამო ბავშვთა სახლში გაიზარდა, სადაც ის ჟანამ 9 თვის ასაკში დატოვა. სინამდვილეში, იუსუფ რახმანოვი არტურ ბაბაიანი იყო და ჟანას ის ერთი ერევნელი მილიციელისგან შეეძინა უკანონოდ, 1968 წელს. ჟანამ ბავშვი ყალბი დაბადების მოწმობით ჩააბარა და ასე გახდა ბაბაიანი რახმანოვი. პატარა იუსუფი ბავშვობაში საშინელ დამცირებას განიცდიდა – 9 წლის ასაკში ის რამდენიმე მოზარდმა გააუპატიურა. მოგვიანებით იუსუფმა სწორედ იმ ბიჭების დახოცვით დაიწყო თავისი „კარიერა“ და 15 წლის განმავლობაში 45 ადამიანი მოკლა სადისტურად. იუსუფს მეტსახელი „ღამის მოჩვენება“ იმიტომ შეარქვეს, რომ ის ძირითადად ღამით ესხმოდა ხოლმე თავს თავის მსხვერპლს და ჯერ თიშავდა, შემდეგ კი პირში ჩოგბურთის ბურთს ტენიდა, რომ არ ეყვირათ და სამართებლით ანაწევრებდა მათ ცხედრებს. ხშირ შემთხვევაში, „ღამის მოჩვენების“ მიერ დატოვებულ დანაწევრებულ ცხედარს სხეულის სხვადასხვა ნაწილები აკლდა. მოგვიანებით, როდესაც სერიული მკვლელი დააკავეს, მან აღიარა, რომ ის სხეულების ნაწილებს ჭამდა. „ღამის მოჩვენება“ 1999 წელს დააპატიმრეს ლენინგრადში და პირველივე დაკითხვაზე მან აღიარა დანაშაული. მის საქმეზე წარმოებულ გამოძიებას რამდენიმე ათასი ადამიანი ჰყავდა დაკითხული და სერიული მკვლელის აბსოლუტურად ყველა დანაშაული დამტკიცდა. როგორც დაუდასტურებელი წყაროებიდანაა ცნობილი, რახმანოვი, დედის მსგავსად, არც კი დახვრიტეს და სერბსკის დახურულ კლინიკაში მოათავსეს, სადაც დღემდე იმყოფება. ინტერესმოკლებული არაა ისიც, რომ ცნობილ საბჭოთა სერიულ მკვლელს ტყუპი ქალ-ვაჟი დარჩა.

ნიკა ლაშაური

ალბათ კიდევ დიდხანს არ ჩაქრება ვნებათაღელვა ეთერში გამომზეურებული შემარცხვენელი კადრების ჩვენების გამო. ჩაქრება კი არა, შემარცხვენელი ცეცხლი ისე აგიზგიზდა, რომ მისი ალი მალე პარლამენტშიც შევარდება და ვის აუწვავს ერთ ადგილს, აშკარად თუ არა, მალულად მაინც გაიგებს მოსახლეობის ნაწილი.

როგორც ჩანს, პარლამენტს ბუსუსებიანი პრეზერვატივების ხმარების წესების დადგენის ნაცვლად, აჯობებდა, ადამიანების მორალისა და ზნეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წესების დახვეწაზე და დანერგვაზე ეზრუნა.

აღარ მინდოდა ფარული ჩანაწერების თემას შევხებოდი, მაგრამ ძალიან შემაწუხა ამ საკითხისადმი ისეთმა ცალმხრივმა მიდგომებმა, თითქოს ქვეყანა იქცევა. ალბათ ოდესღაც, რაღაც საკითხზე იყო ატეხილი აურზაური, ვიღაცამ მართალი თქვა და ამისთვის მოკლეს. აქ რა არის გასაკვირი, როცა დიდ მეცნიერს, რომელიც ამტკიცებდა დედამიწა ბრუნავსო, სიცოცხლე მოუსპეს?

თავიდანვე ვიტყვი, რომ ვემიჯნები იმ უმსგავსობას, რასაც სხვისი პირადი ცხოვრების ფარულად გადაღება და გამომზეურება ეწოდება. სხვისი ინტიმური კავშირის ყურება და დაფიქსირება, უზნეობაა. ასეთ სურათს წესიერი კაცი რომ წააწყდეს, აუცილებლად თვალს აარიდებს და იქაურობას გაეცლება, უზნეონი კი შანტაჟისა და მატერიალური შემოსავლის მისაღებად იყენებენ, ანდა, ავადმყოფები არიან და სხვისი ცქერით კმაყოფილდებიან, ამიტომაც შესასწავლია შემკვეთთა და შემსრულებელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამ წერილის მიზანს კონკრეტულად ვინმეს დაცინვა კი არ წარმოადგენს, არამედ ის, რომ ბუზი სპილოდ არ უნდა გადავაქციოთ და კანონები ცხელ გულზე არ უნდა მივიღოთ. გაცხარებულ მოქალაქეთა ნაწილი გაიძახის, რომ პირადი ცხოვრების გამომჟღავნების მიმართ გამკაცრდეს სასჯელი და იგი განისაზღვროს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ეს მეტისმეტია. სასჯელი უნდა შეეფარდებოდეს დანაშაულის სიმძიმეს, რაც გამოიხატება ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაში. ისე, რომ ცალკეული ქმედებანი ფორმალურად, თუმცა შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო, იგი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

რამდენად წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას ვინმეთა ინტიმი? ეს ხომ ისეთი ინფექცია არ არის, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით გავრცელდეს? ახლა რომ ტრანსპარანტებს აფრიალებენ „ეს შენც გეხებაო“ და ა.შ. ერთი მითხარით, რატომ ან როგორ შემეხება მე? ინტიმი ხომ წვიმა არაა, რომ ყველა დაასველოს?

მე მიკვირს ცნობადი სახეებიც რომ მოითხოვენ პირადი ცხოვრების გამჟღავნების მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სიაში შეტანას. იციან თუ არა მათ, რომ მძიმე დანაშაული დიდი სასჯელით ისჯება, კანონის ნორმის სიმკაცრით სასჯელი კარგავს მიზანს და დამნაშავის გამოსწორების ნაცვლად, ცოტა ხნის შემდეგ ვღებულობთ დეგრადირებულ პიროვნებას.

მკითხველის პოზიცია

მართლის მთქმელი მოკლესო

ჩემი მსჯელობა რომ ვინმეს უცნაურად არ მოეჩვენოს, პირადი ცხოვრების გამჟღავნებისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთის ძალიან მკაცრად მიჩნევის შესახებ, მკითხველს შევახსენებ, რომ სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგები, სასჯელის უმაღლესი ზომა განისაზღვრება 8 წლამდე ვადით, ასევეა ომის პროპაგანდისათვის, ხოლო პორნოგრაფიული საგნების დამზადება ან გასაღებისათვის 3 წლამდე, გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის – 3 წლამდე, თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის – 5 წლამდე, ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის – 3 წლამდე, იძულება, მუქარა და შეურაცხყოფა – 1 წლამდე და ა.შ.

ცალკე მსჯელობის საკითხია, ვის მოუვიდა აზრად ცილისწამებისათვის სასჯელის გაუქმება.

ცრუ დასმენა და ცრუ ჩვენების მიცემა დასჯადია, მაგრამ შეგნებულად მონაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს, ე.ი. ცილისწამება, აღარ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი. ადრე კი მისთვის გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით.

ამიტომაცაა, რომ უსირცხვილო მოპაექრენი ისეთ არარსებულ ან არმომხდარ ამბებს უგონებენ და კადრებენ ერთმანეთს, ანუ რაც ენაზე მოადგებათ, რომ თმები ყალყზე დაგიდგება და ფიქრობ: ასეთ ადამიანს თავისუფლებაში რა უნდა, ის გისოსებს მიღმა უნდა იყოს.

## ხ	ა ვვწონოთ ცოდვა-მადიი.

ცალ მხარეს დავდოთ სიცრუე (პირობითად „ა“) და ცალზე – სიმართლე (პირობითად „ბ“).

მოქალაქე „ა“, მოქალაქე „ბ“-ზე აშკარად ავრცელებს მონაჭორს, რომ „ბ“ არის უზნეო, ღალატობს მეუღლეს, ლოთობს, თავისივე სქესიან პიროვნებასთან ეწევა სექსს, ქურდობს, შიშველი დადის ქუჩაში, რყვნის მოზარდებს, უთვალთვალებს ერთად მყოფ გოგო-ბიჭებს და სხვადასხვა სქესის ადამიანებს, აუპატიურებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, მოკლული ჰყავს ორი კაცი და ერთი ქალი, გადაწვა ორი ფაბრიკა, მოწამლა მდინარე, იღებს და აძლევს ქრთამს და ა.შ.

„ა“-ზე განაწყენებული მოქალაქე „ბ“ შეგნებულად ან შემთხვევით აღმოჩნდა იმ ადგილებზე, სადაც მოქალაქე „ა“ სჩადიოდა ყველა ზემოთჩამოთვლილ უმსგავსოებას. მან ტელეფონით ან სხვა საშუალებებით ფარულად გადაიღო ყველა შესაძლო კადრი და ეს სინამდვილე აჩვენა ხალხს.

რა ხდება ხალხში?

როცა „ა“ აფრქვევს განუზომელ სიცრუეს „ბ“ს შესახებ, ხალხი დუმს. მათი მხრიდან არავითარი პროტესტი და პიროვნების ღირსების დაცვისთვის რეაგირება არ იგრძნობა. ერთი ყურიდან მეორეში უშვებენ.

როცა „ბ“ სინამდვილეს აჩვენებს ხალხს, ტყდება განგაში, აყალმაყალი და მუშტების ქნევა: როგორ გაბედე, რომ სინამდვილეს თვალებში ჩახედე და დაგვანახე „ა“-ს ნამდვილი სახე, შენ ასეთო და შენ ისეთოო და ემუქრებიან ციხეში ჩასმით.

რა ხდება კანონმდებლობაში?

1.მოქალაქე „ა“-ს კანონით ცილისწამებისათვის არავითარი სასჯელი არ ეკუთვნის, იგი ძველებურად აგრძელებს შხამის ნთხევას.

2. მოქალაქე „ბ“-ს სინამდვილის სააშკარაოზე გამოტანისათვის გისოსებიან საკანს უმზადებენ და თანაც პირდებიან მოქალაქის პირად ცხოვრებაში ხელის ფათურისათვის კანონს გავამკაცრებთ და 10 წლამდე ვადით საზოგადოებიდან იზოლაციისათვის მოემზადეთო.

ხიდა ისევ ხიდხს დავუბრუნდეთ:

ხალხის ნაწილი კითხულობს: მართლის მთქმელი მართლა მოკლეს? ნაწილი „ბ“-ს კიცხავს. შე კაი კაცო, ჯერ სასამართლოს ნებართვა აგეღო და იმათი სექსი მერე გადაგეღოო.

ნაწილი მხრებს იჩეჩავს: ან „ა“-ს ვინ ეკითხება, ან „ბ“-ს, ვინ ვის ლოგინში შეძვრება და როგორი პოზებით ისიამოვნებსო...

ნაწილი თავისთვის ჩურჩულებს: რა განგაში ატეხეს, ისედაც ყველამ ვიცით, ვინ რას წარმოადგენსო...

ნაწილი გაღიზიანებულია, რას ურევენ ტვინს ამ ხალხს, მეტი საქმე და საჩვენებელი ტელევიზიებს აღარაფერი აქვთო?..

მოხუცები ამბობენ: რად უნდათ მაგას გამოძიება, თვითონვე უკეთესად იციან, ვის როდის და რა აწყენინეს, რომ ასე მწარედ გადაუხადესო. რაში გვჭირდება მაგათი სასქესო ორგანოების ყურებაო.

ზოგი ყვირის: ეს შენც გეხება, მოდი გვერდში ამოგვიდექი, მთავრობა გამოვაფხიზლოთ, დაგვიცავსო. (კიდევ კარგი, რომ მთავრობას ბუსუსებიანი პრეზერვატივით მომარაგებას არ თხოვენ).

ზოგი ამბობს: ვაი, თქვენს პატრონს და ვაი, ჩვენს ქვეყანას, ვის ხელშია ჩვენი მომავალიო...

ნუ გეშინიათ, ქართველებო, ჩვენი ქვეყნის განვითარების ბედი დღეისთვის კარგ ხელშია. უზნეონი ვერც ვერაფერს გვაკლებდნენ და ვერც ვერაფერს დაგვაკლებენ.

რევაზ გრიგალაშვილი

(დასასრული V გვერდზე)

გლობალიზაცია - ერებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ დაგეგმილი პროტესტი

რეშეც შეუძლებელია ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრივი მდგომარეობის დამკვიდრება. დღეს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი ქართველების მიერ ისე უნდა წარიმართოს, რომ შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობაში თავის დამკვიდრება ან ,უკიდურეს შემთხვევაში, გაქრეს მსოფლიოს რუკიდან ბევრ სხვასთან ერთად.

ამ კრიტიკულ საშიშ დროში საქართველო დგას ბევრი პრობლემის წინაშე.

დიდი ძალისხმევაა საჭირო საკუთარ თავში მოვნახოთ ის ძალა, რომ ვიბრძოლოთ გადარჩენისათვის. წმინდესი და უნეტარესი ჩვენი პატრიარქი ილია II თავის 2004 წლის 28 ნოემბრის ქადაგებიდან მოგვიწოდებს ამ ძნელბედობის ჟამს „აუცილებლად, რაღაც ისეთი იდეა უნდა გვქონდეს ერს, ხელისუფლებას, ეკლესიას, რომელსაც გაჰყვება ჩვენი ერი, რომელსაც ხელში აიტაცებს, როგორც ძვირფას საუნჯეს და ამით შეაბიჯებს მომავალში.”

„ეს იდეა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავისა და თავის სამშობლოს უანგარო მსახურების იდეა ,მის ნებისმიერ გამოვლინებაში, რაც ერის მიერ უფლის წინაშე მსახურების ტოლფასი ღვაწლია.

მართლაც მხოლოდ და მხოლოდ ერისა და სამშობლოს წინაშე უანგარო მსახურების იდეას ძალუძს გააერთიანოს ერი, ხელისუფლება ეკლესია, რამეთუ ეს იდეა არის მარადი იდეა-საფუძველი ერთად ყოფნობისა, რომელიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ეპოქაში იძენს სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვებს.

დღეს ამ იდეამ შეიძინა სახე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოს გლობალიზაციის ფონზე, ქართული ეროვნული სხეული ინტეგრირებაში ისეთი ფორმით იმუშაოს, რომ ქართველმა ერმა თავის ეთნოკულტურული თვითმყოფადობა არა თუ არ დაკარგოს, არამედ ორგანულად დაიმკვიდროს კიდეც თავისი ადგილი” – წერს ვასო კუკუნაშვილი თავის შესანიშნავ წიგნის „ჯვარი პატიოსანის” შესავალში.

ყოველივე ამასთან ერთად, საჭიროა ახალგაზრდების ძალისხმევა, რომელთაც აქვთ უნარი, ამ ძნელბედობის ჟამს, გზა გაიკვალონ და ადგილი დაიმკვიდრონ მოწოდების მიხედვით. აუცილებელია, პრესამ ადგილი დაუთმოს ისეთ სტატიებს, მეცნიერულ ნაშრომებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენი არსებობის სულიერ საფუძვლებს შეუწყობენ ხელს და ასევე საჭიროა ხელისუფლების მიერ გატარდეს სათანადო ღონისძიებები ამ მიმართულებით.

გივი გელაშვილი

ტრაგედია ალში

თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რიგითი ვლადიმერ მაისურაძე ჩამომხრჩვალი მეზობლის სახლში აღმოაჩინეს. უწყების ინფორმაციით, მომხდარს ხაშურის რაიონული პოლიცია იძიებს.

„I კლასის რიგითი ვლადიმერ დურმიშხანის ძე მაისურაძე, დაბადებული 10.04.1995, მცხოვრები ხაშურის რაიონის სოფელ ალში. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა 2014 წლის 16 მაისიდან. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის V ქვეითი ბრიგადის დაზვერვის ასეულში. ამ დღეებში ის სამსახურიდან დათხოვნილი იყო. კვირას იგი მეზობლის საბძელში აღმოაჩინეს ჩამოხრჩობილი. საქმეს იძიებს ხაშურის რაიონული პოლიცია“, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

წერილი ტყეში

რამდენიმეთვიანი შეკრების და მუშაობის შემდეგ, ეკა ბაქრაძის საბავშვო თეატრალური ჯგუფი "აკვარიუმი" უკვე მეორედ წარსდგა მაყურებლის წინაშე. პირველი საჩვენებელი შეხვედრა ერთგვარი მოსინჯვა იყო ძალების. ბავშვებმა ლექსის განსაკუთრებული შეგრძნება მიიტანეს მაყურებელთან, რომელსაც ჩვეული მოლოდინი შეუცვალეს პოეზიისადმი საკუთარი ბავშვური დამოკიდებულებით. მერე იყო სურამის კულტურის სახლი, იქაც მოწონება და სურვილი გაგრძელების, მეტის ნახვის. ახლახანს, №1 საჯარო სკოლის სცენაზე, ეკა ბაქრაძე იდგა და საპატიო სტუმრებს ჯგუფის ჩამოყალიბების, შეკრების, მუშაობის შესახებ უყვებოდა, შემდეგ ბავშვებს დაუთმო დრო და ადგილი. "წერილი ტყეში" ასე ერქვა ეკასმიერვე დაწერილ ზღაპარს, რომელიც თავისებური იდეოლოგიის მატარებელი იყო. ტყეში მოსული წერილი წერა-კითხის უცოდინარი ცხოველებისთვის თავსატეხად იქცა, გადაწყვიტეს ზღაპრის გმირები მოეწვიათ მთელი მსოფლიოდან წერილის შინაარსის გასაგებად. წითელქუდა, კომბლე, ყინულის დედოფალი, ავატარი, კატა ლეოპალდი, კონკია, ნაცარქექია, პეპი, მერი პოპინსი სიმღერით, ცეკვით, ლექსით ცდილობდნენ თავიანთ ვერსიადქცეული სურვილების ჩვენებას. პატარა მსახიობებმა თავის თავში მსოფლიო დაიტიეს, ბავშვური გულწრფელობით შექმნეს სამყარო, რომელშიც დღემდე ყველა ზრდასრულ ადამიანს დარჩა ოცნებები. წერილი ცარიელი აღმოჩნდა, თუმცა მასში სიტყვებზე მეტი, ის გრძნობები იყო ჩადებული, რომელიც ეკას ბავშვებთან აკავშირებდა. ელდინო სადარაძემ, სიყვარულზე მისი წილი სიყვარულის დამატება ითხოვა. დიმა ჯაიანი, კოკო გამსახურდია, მზია ხეთაგური ეფერებოდნენ ბავშვებს, გზას და მომავალს ულოცავდნენ.

ბრინჯაო - ევროპის ჩემპიონატიდან



ბულგარეთში, ქალაქ რუსეში, ამ დღეებში, დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი (მწვრთნელი გ. კვინიკაძე) დავით ბუზიაშვილიც იყო. მას სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე. თუმცა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალიც, უდავოდ, დიდი წარმატებაა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მან უკრაინელი ვასილ მიხაილოვი 8:0 დაამარცხა.

მომავალი წლიდან დავითი უფროს ასაკში გადადის და გვჯერა, იგი საქართველოს ნაკრებშიც დაიმკვიდრებს აგილს და წარმატებებიც მრავლად ექნება.

გორის ქალთა კამერულმა გუნდმა ხაშურლები მოხიბლა

გორის ქალთა კამერულმა გუნდმა ხაშურის მოსახლეობას შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის განახლებულ დარბაზში, კონცერტი გამართა. შესრულდა ვერდის " ღვთისმშობლის საოდებელი ლოცვა", შუმანის "ოცნება", ბეგლარიშვილის "ტრანსკრიფციები ჰაჯიბეკოვის თემებზე ", კოსმას " მკვდარი ფოთლები ", ჯ.ლენონი/პ.მაკარტნის "Because ", სამხრეთ–აფრიკული ტრადიციული სიმღერა "მდინარეზე" და სხვა მელოდიები.

გორის კამერულმა გუნდმა ხაშურელ მსმენელში დიდი მოწონება დაიმსახურა.

სამბისტების ტურნირი ხაშურში

ამ დღეებში სასპორტო სკოლამ საქართველოს მრავალგზის პრიზიორის დავით დათიაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლა. ხაშურს ჩვენი ქვეყნის რვა მუნიციპალიტეტის ორასზე მეტი ჭაბუკი სამბისტი სტუმრობდა. ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რაშიც, სასპორტო სკოლასთან ერთად, დიდი წვლილი მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურისა და სპორტის სამსახურმა შეიტანა. ჩვენმა ჭაბუკმა მოჭიდავეებმა დიდებულად იასპარეზეს და გუნდური პირველი ადგილიც არავის დაუთმეს. ჩემპიონები სხვადასხვა წონებში გახდნენ: გიორგი ნასყიდაშვილი, გიორგი იაძე, ბექა ნოზაძე, ლაშა ხაჩიძე, ნიკა გოგალაძე, გიორგი ნოზაძე და გიორგი ღამბაშიძე. ვერცხლის მედლები გადაეცათ ნოდარ ბუხრიკიძეს, ლექსო პაპუაშვილს, თამაზ კაპანაძეს, როინ გელაშვილს, შოთა ნოზაძესა და ლუკა ნოზაძეს. მესამე ადგილზე კი გავიდნენ: გოჩა მაღალდაძე, ნიკა ბუხრიკიძე, ზაზა დვალიშვილი, დავით გოგალაძე, ლუკა დაბრუნდაშვილი, თენგიზ მახათაძე, გიორგი ბლიაძე, ბესიკ ნოზაძე, გიორგი კობალაძე, გიორგი გელაშვილი, თემურ სულაბერიძე.

უხლოესი დიდი მასშტაბის ტურნირი ჩვენს მუნიციპალიტეტში 23 აპრილს გაიმართება. ამ დღეს კოლია ხვედელიძის სახელობის თასზე ოცდაათამდე მუნიციპალიტეტის ბერძნულ-რომაული სტილის ახალგაზდა მოჭიდავეები შეერკინებიან ერთმანეთს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის **მურად ცერცვაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ხაშურის მინიციპალიტეტის გამგეობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სპეციალისტს თემურ გოგოლაძეს მამის

ნიკოლოზის

გარდაცვალების გამო.

გაზეთის „ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქმისმწარმოებელ ნანა პაჩუაშვილს მამის

ვასილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთის „ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სპეციალისტს თემურ გოგოლაძეს მამის

ნიკოლოზის

გარდაცვალების გამო.

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რესურსცენტრის საქმისმწარმოებელ ნანა პაჩუაშვილს მამის

ვასილის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

ამ ადგილებზე!

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

საბჭოთა ჯავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა,რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.